ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4061500

ნომერი: AR1612117

თარიღი : 29.06.2018

გაცემის თარიღი : 11.07.2018

გაცნობის თარიღი : 01.08.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბამბის რიგი , N 12;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანჟელა გაბარაევი პ/ნ 59002000189
- ცხინვალი გაფეზის ქ. კორ. 17 ბ. 3

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ანნა ოლხოვსკაია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01891005268

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: სალომე ცხადაძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. არქ. პროექტს უნდა ახლდეს განმარტებითი ბარათი სამუშაოების სრულყოფილი აღწერით;
2. წარმოდგენილ იქნას არსებული და საპროექტო გეგმების და ჭრილების ფრაგმენტული ნახაზები;
3. წარმოდგენილ იქნას საკადასტრო რუკა საპროექტო არეალის მითითებით;
4. გათვალისწინებული უნდა იქნას სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონის, 25-ე მუხლის , მე-3 პუნქტი. კერძოდ: ,,ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში ოფიციალური სახელწოდების სახელმწიფო და არასახელმწიფო ენებზე გადმოცემისას სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი თავსდება წინ (მარცხნივ ან ზევით), ხოლო არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი – შემდეგ (მარჯვნივ ან ქვევით)''
5. დამკვეთად ორგანიზაციის ველში დაფიქსირდეს მოიჯარე - შპს „Organica“. განმცხადებლის უფლებამოსილება არ დგინდება.
6. თანაგანმცხადებლად დაფიქსირებულ ანნა ოლხოვსკაიას, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერში მითითებულია ანნა ოლხოვსკაია შემდეგი პირადი მონაცემებით - 3258009228, EA981228, ხოლო თანაგნმაცხადებლის ველში მითითებულია - 01891005268, 15TR43982. შესაბამისად, ვერ ხდება იდენტიფიცირება. წარმოდგენილ იქნას შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლითაც შესაძლებელი იქნება იდენტურობის დადგენა ან წარმოდგენილ იქნას ანნა ოლხოვსკაიას მიერ გაცემული განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, წარმოსადგენია იჯარის ხელშეკრულება და იჯარის ხელშეკრულების ცვლილება, საჭიროების შემთხვევაში, მესაკუთრის თანხმობით.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.